საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აღსრულების ეროვნული ბიურო

012045905099213

KA012045905099213

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–10 კმ. ტელ: +(8 32) 749 649; ელ.ფოსტა: nbe@nbe.gov.ge ვებ–გვერდი: www.nbe.gov.ge

№ 62627

16 / აგვისტო / 2013 წ.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის(GRASS)“
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
თბილისი, რაზმაძის ქ.#15

თქვენი 2013 წლის 08 აგვისტოს #117 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მოვალეთა რეესტრი არის ელექტრონული ერთობლიობა მონაცემებისა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა და სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნთა შესახებ, რომელთა მიმართაც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება ფულადი მოთხოვნის აღსულების მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობა. მოვალეთა რეესტრში მოვალე რეგისტრირდება მის მიმართ წარმოებაში არსებული საქმეთა რაოდენობის შესაბამისად.

მოვალეთა რეესტრში 2013 წლის 12 აგვისტოს მონაცემებით რეგისტრირებულია 92 933 მოვალე (ფიზიკური, იურიდიული და სხვა ორგანიზაციულ წარმონი).

ამა წლის აგვისტოს დასაწყისისათვის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში მიმდინარე საქმეთა რაოდენობა შეადგენდა 102 322 სააღსრულებო წარმოებას, საიდანაც გამოსახლების კატეგორიის საქმეთა რაოდენობა შეადგენდა 288 ერთეულს. თითოეულ სააღსრულებო წარმოების საქმეზე მისი მიმდინარეობისა და კატეგორიის შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ წარმოებათა მიმდინარეობისას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებეათა რაოდენობა, ვინაიდან არ აწარმოებეს აღნიშნულ მოქმედებათა სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას.

ასევე გაცნობებთ, რომ 2011 წლის იანვრიდან დღემდე აღსრულდა 282 გამოსახლების კატეგორიის სააღსრულებო წარმოება, რომელიც წლებისა და კვარტლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

2011 წელი - პირველი კვარტალი-18, მეორე კვარტალი-23, მესამე კვარტალი-28, მეოთხე კვარტალი-21, სულ 90.

2012 წელი - პირველი კვარტალი-29, მეორე კვარტალი-36, მესამე კვარტალი-15, მეოთხე კვარტალი-31, სულ 111.

2013 წელი - პირველი კვარტალი-31, მეორე კვარტალი-35, ივლისი-15, სულ 81.

პატივისცემით,

გამარტივებული წარმოების სამსახურის
უფროსი

ლეილა მიქელაძე